

ტექსტი: მამია მუხლი  
ფოტო: მუხამ ნიგახაშვილი

# ახალგაზრდული კოსმონავტიკა

2015 წლის მიწურულს, მარიამ ნატროშვილთან და დეტუ ჯინჯარაძესთან სტუმრობისას, საუბარი ცნობილი ნიუიორკული სახელოვნებო ორგანიზაციის, „აპექსარტის“ კონკურსზე ჩამოვარდა. კონკურსის საბოლოო ვადა 2016 წლის 28 თებერვალი იყო. „აპექსარტის“ კონკურსის სპეციფიკა ისაა, რომ არტისტის გამარჯვების შემთხვევაში გამოფენა არა ნიუ იორკში, არამედ იმ ქვეყანაში ეწყობა, საიდანაც მისი კონცეფცია შემოდის. კონკურსი კი ყოველ წელს იმართება. 500-სიტყვიან ტექსტს, რომელიც ავტორის სახელის გარეშე გადის, „აპექსარტის“ საერთაშორიო ჟიურის ორასი ანონიმური წევრი აძლევს ხმას. საბოლოოდ, მთელი მსოფლიოდან ოთხი პროექტი ირჩევა.



დავინწყეთ ფიქრი, ნახევრად სერიოზულად, რისი გაგზავნა იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო. ჩვენთან ერთად იყო ზურა ჯიშკარიანიც, რომელმაც გაიხსენა, რომ საგურამოში იყო ერთი უნიკალური შენობა – კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. კოსმოსის ხსენებაზე ჩვენ ზურას 2008 წლის ტექსტი – „არალეგალური კოსმონავტიკა“ გაგვახსენდა და უცბად პროექტის შესაძლო კონცეფციამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი, მაგრამ ხელშესახები კონტურები შეიძინა.

პროექტის საბოლოო ტექსტში დავწერეთ საბჭოთა კოსმოსურ პროგრამებზე, პოსტსაბჭოთა სოციალიზმზე და იმაზე, გადარჩენის რა უნარებია საჭირო, თუ დღეს არსებული სისტემაც დაინგრება. გადარჩენისთვის სამ ყველაზე აუცილებელზე – საკვების მოპოვების, თავდაცვისა და კომუნიკაციის უნარებზე შევჩერდით. შესაბამისად, პროექტს ვორქშოპები დავუმატეთ: პარტიზანულ მებრძოლებზე, ქართული მეცნიერების გამოცდილებაზე კოსმოსური კომუნიკაციების სფეროში, ქცევებზე კრიტიკულ სიტუაციებში და საზოგადოებაზე, როგორც სისტემაზე.

პროექტისთვის მცირე პუბლიკაციის დაბეჭდვაც გადავწყვიტეთ, ინტერვიუებით კოსმოსურ კვლევებზე საქართველოში და კოსმოსის არაკორპორაციული და არასახელმწიფო ათვისების საერთაშორისო ტენდენციებზე. იგულისხმება ის, რომ კოსმოსის სახელმწიფო და მდიდარი კორპორაციების გარდა, დღეს ბევრი კერძო პირი და არასამთავრობო ორგანიზაცია იკვლევს, არა ტექნოლოგიური, არამედ მორალური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით. ჯიშკარიანის თავდაპირველი ტექსტის მთავარი გზავნილიც ეს არის:

„არალეგალური კოსმონავტიკა დაიწყება ოფიციალურად აღიარებული პოლიტიკური და ონტოლოგიური რეალობის აბსოლუტური, საყოველთაო, თუმცა საიდუმლო უარყოფით. ეს იქნება ყველაზე მასობრივი და ყველაზე ჩუმი გაფიცვა არსებული ისტორიული სიტუაციის წინააღმდეგ. გარეგანი და შინაგანი კოსმოსის ინდივიდუალური შესწავლა ნებისმიერი ხელმისაწვდომი თუ მიუწვდომელი ნივთით, ემოციით, პეიზაჟით, ადამიანით, სიტუაციით“.



2016 წლის აპრილში, სტამბოლის აეროპორტში, ტელეფონის ეკრანზე 212-ით დაწყებული ნომერი გამოჩნდა. 212 ნიუ იორკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და, ამდენად, ცნობილი სატელეფონო კოდი. ცუდი კავშირის გამო ვერ ვუპასუხე, თუმცა ვფიქრობდი, რომ 400-მდე პროექტის ავტორს, რომელიც კონკურსში მონაწილეობდა, დამარცხებაზე სასაუბროდ არ დაურეკავდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, „აპექსარტის“ დამფუძნებელი სტივენ რენდი გამარჯვებას ყველას პირადად ულოცავს. სხვა გამარჯვებული პროექტები იყო:

„სიმართლე ქართი მეომარი-დივების შესახებ“, ბერლინი, კრიც-ბერგის ერთ-ერთი გალერეა; „თავისუფლების ციალი“, კეიპ ვერდეს, სანტიაგოს კუნძულის მიტოვებული ციხე და „მბაოში ვერ გხედავ“, თიუროიე, სენეგალი.

საგამოფენო პროექტი „არალეგალური კოსმონავტიკა“ ჩემი და მარიამ ნატროშვილის კურატორული თანამშრომლობის შედეგია. ის შვიდ ნამუშევარს, სამ ვორქშოპს და პატარა პუბლიკაციას მოიცავს. საგურამოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში, გამოფენა 24 ივნისს გაიხსნა და 22 ივლისამდე გაგრძელდება.



ინსტალაციისთვის G.V.E.C. (Google Voice for Existential Communications) ზურა ჯიმკარიანმა ააწყო ტელეფონი, რომლითაც შეგიძლია „უსმინო ზამთარს, პლანეტებს, რობოტს, რომელიც გელაპარაკება მართობასა და ყოველდღიურობის რევოლუციაზე“.

გიორგი მალრადის „ფრთხილად, სიცარიელესთან“ მხატვრის გამოგონილი აბსტრაქტული ნიშნებია, რომლებიც საკუთარ სახლში დაამზადა. ამისთვის მან ტექსტოლიტი გამოიყენა, რაც ელექტრონული სქემების (PCB) წარმოებაში გვხვდება. მალრადის თქმით, სახლში ხელნაკეთი სქემები, პროექტში „არალეგალურობის“ ელემენტს ეხმაურება.





ჯგუფ „ბულიონის“ პერფორმანსი „პროტესტის აერობიკა“ იმ მოძრაობებს იკვლევს, რომლებიც სოციალურ რიტუალს უკავშირდება. თანმიმდევრობით და განმეორებით შესრულებული მოძრაობები რიტუალის უხილავ მახასიათებლებს ავლენს. მხატვრების აზრით, საპროტესტო მოძრაობების ცოდნა შეიძლება ყველასთვის სასარგებლო იყოს.



ნამუშევარში „ეს შენი მოგზაურობაა, ჩვენ აქ ვართ, რომ დაგეხმაროთ“, ანა და თამარ ჩადუნელები ადამიანზე რეკლამის გავლენას იკვლევენ. მხატვრები რეკლამის ენას იყენებენ და სარეკლამო სურათ-ხატებს საკუთარი, არაფრის „გამყიდველი“ სურათ-ხატებით ანაცვლებენ.



ილიკო ზაუტაშვილის ინსტალაცია „ნუთები კოლაფსამდე“ საბჭოთა კოსმოსური პროგრამებისთვის აუცილებელ ადამიანურ რესურსზე აკეთებს აქცენტს. მიუხედავად საბჭოთა მონინავე კოსმოსური პროგრამებისა, ურიკა, რომელსაც სამოძრაოდ ელემენტარული ძალისხმევა და ოფლი სჭირდება, მხატვრის აზრით, ყველაზე კარგად აღწერს საბჭოთა კავშირის ნამდვილ ბუნებას.

მამუკა ჯაფარიძის პერფორმანსი „ალკონავტები“, უგრძესი სუფრის ერთი ბოლოდან მეორეში გადაძახილი სადღეგრძელოების სერიაა. იგი, ერთი მხრივ, ქართულ ტრადიციას – ღვინის სმის და სპონტანური სადღეგრძელოების გაცვლის რიტუალს ეხმაურება, მეორე მხრივ კი, დისტანციურ კომუნიკაციას უსვამს ხაზს.



მარიამ ნატროშვილის და დეთუ ჯინჭარაძის ადგილსპეციფიკური „დაუდგენელი მასალების მუშეუმი“ მხატვრების მცდელობაა, საბჭოთა წარსული საბჭოთა უტოპიის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენლის – კოსმოსის დაპყრობის იდეით გაიზზონ, რაც დედამინაზე, და შემდეგ კი მთელ გალაქტიკაში, კომუნიზმის დამყარებაში მდგომარეობდა. „მუშეუმის“ მნიშვნელოვანი ნაწილია სიტყვა „გაქცევა“ (ESCAPE), რაც ჩემთვის იმის დადასტურებაა, რომ, მიუხედავად უამრავი ცვლილებისა, რომელიც საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში მოხდა და მიუხედავად ახალი თაობებისა, რომლებსაც შეიძლება არც კი ახსოვდეთ საბჭოთა კავშირი, გაქცევა კოსმოსში თუ დედამიწის სხვა მხარეში, ისევ აქტუალურ იდეად რჩება.